

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი №36

ქ. თბილისი

24.08.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე, სხდომის მდივანი;

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართაველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ნათელა სახოვა - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;

ოლია ვოტ - შპს „პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფ PMCG“-ის ხარისხის მართვისა და შიდა ინტეგრაციის მენეჯერი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;

ნინო გაგლელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლაშა მაჭარაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები :

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი:

გოდერძი ბუჩაშვილი - პროექტორი საგარეო ურთიერთობების დარგში;

დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თეა კბილცეცხლაშვილი - ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი;

ავთანდილ გაგნიძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი:  
არქიმანდრიტი ადამი - რექტორი;  
ნატო ასათიანი - კანცლერი;  
გრიგოლ სულაბერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;  
მარინე კაკიაშვილი - პროფესორი;  
თამარ ჯავახიშვილი - ასოცირებული პროფესორი;  
ნინელი მელქაძე - ბიბლიოთეკის კოორდინატორი;  
ქეთევან პავლიაშვილი - პროფესორი;  
მედეა ბენდელიანი - ასოცირებული პროფესორი.


უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:  
ნინო პატარაია;  
ევა ლევაშვილი;  
მაია ჭინჭარაშვილი;  
სალომე მალუძე;  
თამუნა იმნაძე;  
ლილი ხეჩუაშვილი;  
მალხაზ თორია;  
თეიმურაზ პაპასქირი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:40 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>2</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა. აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>2</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაკისრა საბჭოს წევრს, დიმიტრი ჯაფარიძეს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>2</sup> მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27<sup>3</sup> მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.


საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხს განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხს განხილვა;
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბვალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;



4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა დაფიქსირებული, შესაბამისად წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.



1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებული კვალიფიკაცია	ფსიქოლოგიის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ხომ არ სურდათ დამატებით ესაუზრათ პროგრამასთან დაკავშირებით. ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, კერძოდ:

- რეკომენდირებული იყო წარმოდგენილი პროგრამისათვის კონკრეტული სახელწოდების შერჩევა, რომელიც უკეთ აღწერდა მის კვლევით და სასწავლო კომპონენტში გაკეთებულ შინაარსობრივ აქცენტებს, კერძოდ, ხაზს გაუსვამდა სოციალური ფსიქოლოგიის ისეთი საკითხების კვლევისადმი ინტერესს, როგორიც იყო დევიაციური ქცევა, კროსკულტურული ვარიაციები და სოციალურ ნორმებთან მიმათება. ასევე რეკომენდირებული იყო მიზნის ფორმულირებიდან ამოღებული ყოფილიყო ტერმინი „სოციალური გადახრები“ ან ჩანაცვლებული ყოფილიყო მეტად არამასტიგმატიზირებელი ფორმეულირებით;
- ვინაიდან სადოქტორო პროგრამა მოიცავდა სასწავლო კომპონენტს, რომელიც წარმოდგენილი იყო სასწავლო კურსების სახით, რეკომენდირებული იყო შეთავაზებული კურსები შესაბამისობაში ყოფილიყო მესამე საფეხურის აღმწერით მოთხოვნილ სტანდარტებთან, ზოგიერთი კურსი საჭიროებდა გარკვეულ მოდიფიკაციას. კონკრეტულად: კურსის „სპციალური კვლევის მეთოდები“ შინაარსი და სწავლის შედეგები არ შეესაბამებოდა სწავლების მესამე საფეხურს და ახლოს იდგა სოციალურ მეცნიერებებში საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ კვლევის მეთოდების კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებთან. რეკომენდირებული იყო დოქტორანტურის სტუდენტებისათვის შესაბამისი კურსის/კურსების შეთავაზება, რომლის მიზანიც იქნებოდა მაგალითად: შერჩეული მეთოდების სიღრმისეული სწავლება. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული კურსის „სასკოლო განათლების სოციალური ფსიქოლოგია“ კურსის მიზნები, სწავლის შედეგების ნაწილი და შინაარსი არ შეესაბამებოდა ერთმანეთს. კერძოდ: კურსის აღწერასა სა დარგობრივ კომპეტენციებში (ცოდნა და გაცნობიერება)

განწყობის ცნებასა და მის კანონზომიერებაზე იყო საუბარი. თუმცა აღნიშნული საკითხები არსად არ იყო მოცემული კურსის შინაარსში. რეკომენდირებული იყო აღნიშნული კურსის აღწერის, სწავლის შედეგებისა და შინაარსის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა.

- წარმოდგენილ პროგრამაში სასწავლო კომპონენტს 60 კრედიტი ეთმობოდა. ვინაიდან საუბარი იყო სადოქტორო პროგრამაზე, რომლის ძირითად აქცენტს კვლევითი აქტივობა უნდა წარმოადგენდეს და, ასევე, გათვალისწინებულ უნდა ყოფილიყო სტუდენტების მრავალფეროვანი ინტერესები კვლევითი თემატიკის მიმართულებით, რეკომენდებული იყო: შემცირებულიყო სასწავლო კომპონენტის მოცულობა და გაზრდილიყო კვლევითი კომპონენტისთვის განკუთვნილი საათების/კრედიტების რაოდენობა; თავის მხრივ, სასწავლო კომპონენტში შემცირებულიყო სავალდებულო კურსების რაოდენობა და გაზრდილიყო არჩევითად შეთავაზებული კურსების რაოდენობა ანუ მეტი კრედიტი მინიჭებოდა არჩევითი კურსების კომპონენტს. პროგრამის აღწერაში გამოკვეთილი იყო აქცენტი პოზიტივისტურ რაოდენობრივ კვლევაზე, რაც იმთავითვე გულისხმობდა კვლევის რაოდენობრივი მეთოდებით მიღებული მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებასა და ანალიზს. ამასთან, ვინაიდან სადოქტორო საფეხურზე იყო საუბარი, დგებოდა ფსიქოლოგიაში სტატისტიკური მეთოდების გამოყენების გაძლიერებული კურსის საჭიროება. შესაბამისად, რეკომენდებული იყო სავალდებულო კურსების ჩამონათვალში ამგვარი კურსის დამატება.

- მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენდა გამოცდა ან ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა უცხო ენაში. ენების ჩამონათვალში მოცემული იყო ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენები, რომელთა ცოდნაც აპლიკანტებს მოქთხოვებოდათ მინიმუმ B2 დონეზე. ამასთან, ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტები მხოლოდ ინგლისური ენის კომპეტენციას ასახავდა. გარდა ამისა, ვინაიდან პროგრამაში შეთავაზებულ პრაქტიკულად ყველა კურსში საკითხავ მასალად მითითებული იყო მხოლოდ რუსული და ინგლისური ლიტერატურა, რაც არათანაბარ პირობებში აყენებდა, მაგალითად, გერმანულისა და ფრანგულის მცოდნე აპლიკანტებს. აქედან გამომდინარე, რეკომენდებული იყო მიღების აღნიშნული წინაპირობის დაკონკრეტება და B2 დონეზე მოთხოვნილი ენების ჩამონათვალის ინგლისური და რუსული ენებით შემოსაზღვრა. პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენდა გასაუბრება სპეციალობაში, კონკრეტულად სოციალურ ფსიქოლოგიაში. ვინაიდან აღნიშნულ პროგრამაზე განაცხადის შეტანის უფლება ჰქონდა არამხოლოდ სოციალურ ფსიქოლოგიაში და, ზოგადად, ფსიქოლოგიაში მაგისტრის დიპლომის მქონე აპლიკანტებს, ამიტომ რეკომენდებული იყო გასაუბრებას აპლიკანტთან ეგულისხმა არა ფსიქოლოგიის რომელიმე კონკრეტულ დარგში ცოდნის შემოწმება, არამედ, მაგალითად, აპლიკანტის მოტივაციის, გამოცდილების, პროფესიული განვითარების პოტენციალის, ინტერესებისა და სხვა მახასიათებლების შეფასება.

- მთელი რიგი კურსების სილაბუსებში ფიქსირდებოდა იდენტურად გაწერილი სწავლა/სწავლების მეთოდები, რომლებიც სხვადასხვა სწავლის შედეგზე უნდა გასულიყო მოცემული კურსების სილაბუსების მიხედვით. ასე მაგალითად, ისეთი განსხვავებული შინაარსის მქონე და სწავლის შედეგებზე გამსვლელი (სავალდებულო) კურსების სილაბუსებში, როგორებიც იყო სოციალური კვლევის მეთოდები, კროსკულტურული ფსიქოლოგია, მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგია და დევიაციური ჰაევის ფსიქოლოგია, წარმოდგენილი იყო სწავლების ერთი და იგივე მეთოდები. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებული იყო სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდების შერჩევისას მეტად ინდივიდუალური მიდგომის გამოყენება მოცემული კურსის შინაარსის თავისებურებებისა და მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით.

- რეკომენდებული იყო შეფასების მეთოდების შერჩევისას მეტად ინდივიდუალური მიდგომის გამოყენება მოცემული კურსის შინაარსის თავისებურებებისა და მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით.



- პროგრამის წარმატებული ინტერნაციონალიზაციისათვის არსებითი იყო დაგეგმილი კვლევების შედეგების ინტერნაციონალიზაციაც. შესაბამისად, რეკომენდებული იყო სავალდებულო სამეცნიერო აქტივობებს დამატებოდა, ადგილობრივის გარდა, საერთაშორისო ღონისძიებებში, კონფერენციებსა და ფორუმებში მონაწილეობა.
- სადოქტორო პროგრამის სტუდენტების მაქსიმალურად ახალი ლიტერატურით უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებული იყო როგორც კურსების სილაბუსებში შეტანილი სახელმძღვანელოების განახლება, ისე ელექტრონული ბაზების გამრავალფეროვნება.

საბჭოს წევრი, დიმიტრი ჯაფარიძე დაინტერესდა აკადემიური პერსონალის საკითხით აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით. ექსპერტმა განაცხადა, რომ აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით ჯგუფს არ ჰქონია რეკომენდაცია, ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვითარება დამაკამაყოფილებელი იყო იმ რაოდენობის სტუდენტებისათვის რომლის მიღებაც იგეგმებოდა წარმოდეგნილი პერსონალი საკმარისი იქნებოდა. პროგრამაში ჩართული იყო 3-4 პროფესორი.

საბჭოს წევრი, გელა გელაშვილი დაინტერესდა თუ ვინ იყვნენ დამსაქმებლები. ექსპერტმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის განმარტებით, დამსაქმებლებს წარმოადგენდნენ თბილისის, ბათუმის და ცაგერის სასულიერო სემინარიები, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია და სხვა სემინარიები, რომლებიც ორიენტირებული იქნებოდნენ მათი დოქტორანტების დასაქმებაზე.

საბჭოს თავმდჯომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, კერძოდ პროგრამის ხელმძღვანელმა, განაცხადა, რომ გაეცნენ ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს და მათგან მნიშვნელოვანი ნაწილი გაითვალისწინეს, თუმცა ვერ შეძლეს ყველაფრის თანაბრად გათვალისწინება. მათ არჩიეს, რომ პროგრამა ყოფილიყო მსხვილი ფსიქოლოგიის პროგრამა ვიდრე დავიწროებული დევიაციური ფსიქოლოგიის ან სოციალური ფსიქოლოგიის სახით, ვინაიდან არსებული სახელწოდებით ის შესაბამისობაში იყო მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხთან. პროგრამა უფრო ფართო არჩევანის საშუალებას აძლევდა დოქტორანტს ვიდრე შევიწროებული დასახელების მქონე პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაკონკრეტება მოხდებოდა სადისერტაციო თემის ფარგლებში და დაუახლოვდებოდა იმ ასპექტებს რა კუთხითაც სურდათ პროგრამის განვითარება.

რაც შეეხებოდა ტერმინებს „სოციალური გადახრები და დევიაციური ქცევები“, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ეს ტერმინები გახლდათ სინონიმური ტერმინები, შემოტანილი იმ მიზნით, რომ ჩაენაცვლებინა მსგავსი შინაარსის სიტყვები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რაც შეეხებოდა რეკომენდაციას სოცილაური კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით, მოხდა რეკომენდაციის გათვალისწინება გარკვეულწილად, დაემატა რამდენიმე თემა და პრაქტიკული სამუშაოები დაუკავშირდა დევიაციურ თემებს, რომელიმე მეთოდთან მიმართებით ჩაღრმავება მოხდებოდა რეფერატის მეშვეობით სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით შერჩეული მეთოდის შემთხვევაში. რაც შეეხებოდა სტატიისტიკას, მის სიღრმისეულ შესწავლას დასჭირდებოდა 2 სემესტრიანი კურსი სტატიისტიკაში. აღნიშნული კურსების დამატება კიდევ უფრო გაზრდიდა სასწავლო კომპონენტს და წინააღმდეგობაში მოვიდოდა რეკომენდაციასთან სასწავლო კომპონენტის შემცირებასთან

დაკავშირებით. თუმცა აღნიშნული არ ნიშნავდა იმას, რომ დოქტორანტი ვერ მიიღებდა ინფორმაციას სტატისტიკის მნიშვნელობის შესახებ, კვლევის მეთოდოლოგიასთან მიმართებით. იგეგმებოდა სპეციალისტის მოწვევა, რომელიც დოქტორანტს დაეხმარებოდა დისერტაციის სტატისტიკურად დამუშავებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რაც შეეხებოდა სასწავლო და მეცნიერულ კვლევით კომპონენტს, შეფარდება ჰქონდათ ერთი ორთან, კრედიტების რაოდენობის და დროის მიხედვით მათ არჩიეს არსებული სახით საგნების წარმოდგენა. ფსიქოლოგიის კუთხით რამოდენიმე საგანი იყო სავალდებულო, იმისათვის რომ დოქტორანტს გარკვეული სიღრმისეული ცოდნა შეეძინა ფსიქოლოგიის დარგში. სავალდებულო იყო რამოდენიმე კურსი, ხოლო არჩევითი კურსების სახით მათ წარმოდგენილი ჰქონდათ 10 არჩევითი კურსი, დოქტორანტთან გასაუბრების შედეგად მას შესთავაზებდნენ საინტერესო არჩევით კურსს, მაგალითისათვის - განწყობის ფსიქოლოგიას. რაც შეეხებოდა დაშვების წინაპირობას, მათ მიერ მოხდა გასაუბრების კორექტირება მოტივაციის განსაზღვრის მიზნით, ჩარიცხვის მსურველს უნდა წარმოედგინა მცირე მოცულობის ნაშრომი ფსიქოლოგიის სფეროდან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენელს და დაინტერესდა ჰქონდათ თუ არა მათ სადისერტაციო საბჭო, რომელიც ანიჭებდა ხარისხს, ასევე მათ უნდა ჰყოლოდათ ხელმძღვანელები და დამოუკიდებელი ორი შემფასებლები მაინც, ვინაიდან მხოლოდ ერთი შემფასებელი ან ხელმძღვანელი ვერ შეაფასებდა ნაშრომს. ასევე აუცილებელი იყო სამი პროფესორი მაინც ვინც საბოლოოდ შეაფასებდა დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ ნაშრომს. მას აინტერესებდა თანაფარდობა აღნიშნული კუთხით, იმიტომ რომ ავადემიური პერსონალი იყო მცირე რაოდენობით წარმოდგენილი. ზოგადად სადოქტორო პროგრამის დროს მნიშვნელოვანი იყო ორი რამ, პირველი გახლდათ აკადემიური პერსონალი და მისი საკმარისი რაოდენობა, მეორე კი დოქტორანტის ლიტერატურით უზრუნველყოფა და სათანადო კვლევითი პოტენციალის სწავლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა ხორციელდებოდა მრავალკულტურათაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფარგლებში, წარმოდგენილი იყო შესაბამისი პროფესურა, ჰქონდათ შესაბამისი ლიტერატურაც. ხელმძღვანელის და პროფესურის ჩართულობა პროგრამაში გაწერილი იყო დოქტორანტურის დებულბაში, რომელიც გულისხმობდა საჭიროების შემთხვევაში სადოქტორო პროგრამის და სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელების რეკომენდაციით, დარგის სხვა წამყვანი სპეციალისტების მოწვევას შემფასებლის როლში.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა თუ რამდენი ადამიანისაგან შედგებოდა სადისერტაციო საბჭო. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველაფერი გაწერილი იყო დებულებაში და საბჭო შედგებოდა 11 წევრისგან, რომლებიც იქნებოდნენ დარგის წამყვანი სპეციალისტები.

პერსონალის საკითხთან დაკავშირებით, აკრედიტაციის ექსპერტმა განმარტა, რომ წარმოდგენილი იყო 8 ადამიანის პირადი საქმე, აღნიშნული რაოდენობა საკმარისი იქნებოდა 2-4 დოქტორანტისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენელს და სთხოვა უფრო კონკრეტულად ესაუბრა მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ისაუბრა რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა მიღების წინაპირობებში უცხო ენების არჩევანს. მათ მიერ წარმოდგენილი იყო რამდენიმე უცხო ენა, თუმცა ფაკულტეტის საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა რომ ყოფილიყო გამოცდა უცხო ენაში - ინგლისურში B2 დონეზე, თუმცა ამავე დროს გაკეთებულ იქნა ჩანაწერი, რომ უნივერსიტეტი იტოვებდა უფლებას მოეთხოვა დამატებითი უცხო ენა იქედან გამომდინარე თუ რა ინტერესს გამოიჩინდა თავად დოქტორანტი. დაწესებულების წარმომადგენლის ინფორმაციით, რაც შეეხებოდა გასაუბრებას, შეფასებული იქნებოდა აპლიკანტის მოტივაცია, გამოცდილება, პროფესიული განვითარება, პოტენციალი, ინტერესები და სხვა მახასიათებლები.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, რაც შეეხებოდა ინტერნაციონალიზაციის საკითხს, მოლაპარაკებები წარმოებდა სხვადასხვა უნივერსიტეტბთან, კერძოდ: ვარშავის უნივერსიტეტი, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი, ლიხტენშტეინის ფილოსოფიის საერთაშორისო აკადემია. მოლაპარაკების საგანი გახლდათ პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში მათი ჩართულობა იმისათვის რომ დოქტორანტებს მიეღოთ გაცვლით პროგრამებში, სიმპოზიუმებში და კონფერენციებში მონაწილეობა.

რაც შეეხებოდა ლიტერატურას, დაწესებულების წარმომადგენლის ინფორმაციით, სასწავლო კურსების სილაბუსებში მოხდა თანამედროვე ლიტარტურის დამატება, მიმდინარეობდა საბიბლიოთეკო ფონდის განახლება, ყოველწლიურად აღნიშნული გახლდათ უნივერსიტეტის პრიორიტეტული მიმართულება, ხორციელდებოდა ყოველწლიურად, როგორც ქართულენოვანი ასევე უცხოური თანამედროვე ლიტერატურის შეძენა. რაც შეეხება საბობლიოთეკო ბაზებს, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გაფორმდა ხელშეკრულება საბიბლიოთეკო ქსელის კონსილიუმთან, დარეგისტრირდა ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის, როგორც კონსორციუმის წევრი რამაც მათ მისცა უფლება ესარგებლათ არაერთი ელეტრონული სამეცნიერო ბაზებით. ასევე შექმნილი იყო პროექტი როემლსაც ეწოდებოდა „ უურნალი სოციალური მეცნიერებების განვითარებისათვის“, მათ გაფორმებული ჰქონდათ ხელშეკრულება და იძენდნენ სამეცნიერო უურნალებს. დოქტორანტის მიერ შერჩეული თემატიკის მიხედვით ასევე ხდებოდა სათანადო ლიტერატურის გამოწერა.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ თანამედროვე კვლევები ფსიქოლოგიაში ეყრდნობოდა ძიდ მასალას, მას აინტერესებდა რა ბაზებს ფლობდა დაწესებულება და რა რესურსი ჰქონდა მასალების მოსაპოვებლად. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულ კითხვას უპასუხა, რომ ემპირიული მასალა მოპოვებული უნდა ყოფილიყო გარკვეული მეთოდების გამოყენებით. როდესაც დოქტორანტი აირჩევდა სადისერტაციო თემას, განისაზღვრებოდა შერჩევის მოცულობა თუ რამდენ ადამიანზე უნდა ჩატარებულიყო კვლევა. რესპონდენტების მოპოვების თვალსაზრისით პრობლემა არ შეიქმნებოდა ვინაიდან უნივერსიტეტიდან დოქტორანტს ექნებოდა ყველანაირი ხელშეწყობა.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარშვილმა განაცხადა, რომ ემპირიული მასალის მოპოვება დაკავშირებული იყო ხარჯებთან. მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს ესაუბრა ფინანსურ საკითხთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდა ფინანსური გაანგარიშება პროგრამის. ამ გაანგარიშებით, დოქტორანტი ყოველწლიურად გადაიხდიდა 3000 ლარს, ხოლო დანარჩენი ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფდა უნივერსიტეტი. მაგალითად, იგულისხმებოდა მივლინება რეგიონში, სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა.



საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით, სადოქტორო საფეხურზე 100 საათის გამოყოფა დამოუკიდებელი მუშაობისთვის არ იყო მართებული, მითუმეტეს, რომ საუბარი იყო იმის თაობაზე რომ სტატისტიკის სრული კურსისათვის არ ჰქონიდათ საათები. ცალკე კურსი საჩენებელი ლექციის ჩასატარებლად რომელსაც ეთმობოდა 5 კრედიტი მისი მოსაზრებით იყო მხოლოდ დროის ხარჯვა. მისი მოსაზრებით, უმჯობესი იქნებოდა აღნიშნული 5 კრედიტის სტატისტიკისათვის გამოყენება, ხოლო ასისტირება იქნებოდა სრულიად საკმარისი.

16:43 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.  
საბჭოს სხდომა განახლდა 17:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მსჯელობის დროს, საბჭომ ჩათვალა, რომ ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები იყო არსებითი ხასიათის და პროგრამის გაუმჯობესებისთვის, მათი გათვალისწინება უნდა მომხდარიყო. შესაბამისად, საბჭო მიიჩნევდა, რომ წარმოდგენილი პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებდა აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ პირველ და მეორე სტანდარტთან მიმართებით ექსპერტების შეფასება იყო - ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან. აქედან გამომდინარე, საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ კენჭისყრაზე დაეყენებინა პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლისა და 6 თვის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3<sup>2</sup> პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლისა და 6 თვის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუმარტა, რომ უნივერსიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციო შემდეგ გარემოებებს:

- დაიხვეწოს სასწავლო კურსები და შესაბამისობაში მოვიდეს მესამე საფეხურის დონესთან;
- გაუმჯობესდეს და სრულყოფილი იქნეს საბიბლიოთეკო რესურსი;
- გათვალისწინებული იქნას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.



2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატირიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქრისტიანობის ისტორია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ისტორიის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ხომ არ სურდათ დამატებით ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით. ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. კერძოდ:

- პროგრამა შესაბამისობაში იყო მოსაყვანი უნივერსიტეტის მისიასთან (ან პირიქით, მისია იყო განსაახლებელი, რომ მას მოეცვა ახალი პროგრამები).
- არჩევითი კურსების ჩამონათვალი გასამდიდრებელი იყო წმინდა ისტორიული საგნებით, რომლებიც კავშირში იქნებოდა ქრისტიანობის ისტორიის აქტუალურ პრობლემებთან.
- ცალკეული კურსები, (ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური პრობლემები, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის აქტუალური საკითხები, კულტურის ანთროპოლოგია), საჭიროებდა თემატიკის და ლიტერატურის გადახალისებას, გარდა ამისა, სავალდებულო საგნის „ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური პრობლემები“ სილაბუსი უნდა გადამუშავებულიყო და მოყვანილი ყოფილიყო შესაბამისობაში სადოქტორო დონესთან.
- პროგრამის შემუშავებისას აკადემიური პერსონალის უფრო აქტიური ჩართულობა უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი და ის არ უნდა შემოფარგლულიყო მხოლოდ კონკრეტული კურსის მომზადებით.
- დასახვეწი იყო პროგრამის სტრუქტურა და მასში მკაფიოდ და ლოგიკურად უნდა გაწერილიყო სავალდებულო და არჩევითი კურსების აღების პრინციპები, აგრეთვე ლოგიკური იქნებოდა, რომ სტუდენტს ჯერ გაევლო პროფესორი ასისტენტობა, შემდეგ სემესტრში კი საჩვენებელი ლექციის მომზადება-ჩატარება. ასეთ შემთხვევაში დოქტორანტს უფრო გაუადვილდებოდა საჩვენებელი ლექციის მომზადება და ჩატარება.

- გასასწორებელი იყო პროფესორის ასისტენტის შეფასების სქემა და ის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო მოყვანილი.
- უნივერსიტეტს გასაჩერი ქონდა თუ როგორ მოხდებოდა პუბლიკაციების გამოქვეყნება საერთაშორისო გამოცემებში და რომელ გამოცემებს მიენიჭებოდა პრიორიტეტი.
- უნივერსიტეტს წარმატებული ინტერნაციონალიზაციისათვის რეკომენდირებული იყო მას ჰქონდა სწორი ორიენტირი, სამოქმედო გეგმა, რომელიც მიხევითაც ის განვითარებდა ამ მიმართულებას, პროგრამაზე სტუდენტების არსებობის შემთხვევაში.
- უნივერსიტეტს აუცილებლად უნდა შეეძინა ერთი ელექტრონული ბაზა მაინც(საუკეთესო იქნებოდა JSTOR) რაც საშუალებას მისცემდა სტუდენტებს უპრობლემოდ ესარგებლათ სამეცნიერო სტატიებით მათ დარგში.

საბჭოს თავმჯდომარებ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ გაითვალისწინეს პროგრამასთან დაკავშირებული გარკვეული რეკომენდაციები, თუმცა ადგილი ჰქონდა აზრთა სხვადასხვაობას გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. აღსანიშნავი იყო, რომ პროგრამის სახელწოდებად მითითებული ქრისტიანობის კვლევები გახლდათ მექანიკური შეცდომა, რომელიც მითითებული იყო პროგრამაში ერთადერთ ადგილზე და მომენტალურად იქნა შეცვლილი. თუმცა ზოგადად ევროპის და მსოფლიოს ყველა უნივერსიტეტში რამდენიმე გამონაკლისის გარდა არსად არ ეწოდებოდა ქრისტიანობის ისტორია და ძირითად შემთხვევაში თავად მიმართულება და პროგრამის სახელწოდება წარმოდგენილი იყო ქრისტიანობის კვლევების სახით. ვინაიდან, აღნიშნულ პროგრამას ძირითადი აქცენტი აღებული ჰქონდა ისტორიიდან და თეოლოგიიდან, უნივერსიტეტმა მიზანშეწონილად ჩათვალა მიენიჭებინა ისტორიის დოქტორის ხარისხი. აღსანიშნავი იყო ასევე ის, რომ მათ მიერ შემოთავაზებულ სადოქტორო პროგრამას საქართველოს მასშტაბით არ ჰქონდა ანალოგი, მას ზურგს უმაგრებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2008 წლიდან მოქმედი სამაგისტრო პროგრამა სახელწოდებით „ქრისტიანობის ისტორია“. აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულებს ჰქონდათ შესაძლებლობა ისტორიის სადოქტორო პროგრამაზე აეღოთ განხრა ქრისტიანობის ისტორია, თუმცა გარკვეულ კონტიგენტს ექნებოდა საშუალება სიღრმისეულად ჩაწვდომოდა სარწმუნოების კვლევებს მათი პროგრამის მეშვეობით. რაც შეეხებოდა ექსპერტის მიერ აღნიშნულ გარემოებას, რომ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ არ იქნა განსაზღვრული ყველა ის კურსი, რომელიც უნდა წაკითხულიყო პროგრამის ფარგლებში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სადოქტორო პროგრამა მზადდებოდა 2 წელი და 4 თვე და ამ ხნის განმავლობაში მუდმივად ხორციელდებოდა შეხვედრები, ჩამოყალიბებული იქნა იდეა და პროგრამის სტრუქტურა, გამოყოფილი იქნა დარგები და იმ კადრებთან შესაბამისობაში რომელიც ჰყავდა უნივერსიტეტს ჩამოაყალიბეს საგნები. უნივერსიტეტის წარმომადგენლის ინფორმაციით, მათ შეარჩიეს ისეთი დარგები, რომელიც განუყოფელი ნაწილი იყო ქრისტიანობის ისტორიის, როგორიც იყო - ღვთისმეტყველება, მეთოდოლოგია ქრისტიანობის კვლევების, ქრისტიანობის აქტუალური საკითხები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რეკომენდაციაში ასევე ხაზგასმული იყო, რომ სავალდებულო საგანი „ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური საკითხები“ არ შეესაბამებოდა სწავლების მესამე საფეხურს. დაწესებულების წარმომადგენლებმა მოახდინეს რიგი თემების კონცენტრაცია და ისტორიაში, რაც გახლდა აქტუალური საკითხები დატოვეს, მაგრამ ამავდროულად გაითვალისწინეს თანამედროვე ეპოქალური საკითხები, როგორიც იყოს აფხაზეთის და სამაჩაბლოს სქიზმა, სომხეთის რელიგიური საკითხები და ვატიკანი და ა.შ.

ისტორიის აქტუალური საკითხები შეირჩა იმის მიხედვით რომელიც თანამედროვე პრობლემატურ საკითხებთან იქნებოდა სინქრონში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტის რეკომენდაციის თანახმად ის ითხოვდა სამოქალაქო ისტორიასთან დაკავშირებული საგნების არსებობას პროგრამაში. ისტორია გახლდათ ინტერდისციპლინარული დარგი. რელიგია და მათ შორის ქრისტიანობაც გახლდათ ინტერდისციპლინარული, კაცობრიობის ისტორიაში არ არსებობდა ეპოქა და ისტროიული პროცესი, რომელიც რელიგიისგან გამიჯვნით ყოფილიყო გამოკვლეული. მათ გაითვალისწინეს აღნიშნული რეკომენდაცია და ყველა საგანში იქნებოდა ეს არჩევითი თუ სავალდებულო ჩასვეს ისეთი ლიტერატურა, რომელიც დაეხმარებოდა დოქტორანტს შეევსო განათლების წინა საფეხურებზე ან სკოლაში მიღებული ცოდნა. უნივერსიტეტის წარმომადგენლის განმარტებით, ყველა საგანი შეივსო, როგორც უცხოენოვანი ასევე ქართულენოვანი ლიტერატურით. ბაკალავრიატის დონის პროგრამაში ჩადებული იყო მხოლოდ სამი წიგნი, რომელიც წარმოადგენდა შესავალს და მოიცავდა კვლევის მეთოდოლოგიას ქრისტიანობის დარგში. ასეთი სახის ლიტერატურა განკუთვნილი იყო იმ სტუდენტებისათვის რომელთაც არ ექნებოდათ წინარე ცოდნა. ხოლო როდესაც დოქტორანტს გამოეკვეთებოდა საკვლევი თემა დაამატებდნენ ლიტერატურას და საარქივო წყაროებს.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის ინფორმაციით, სავალდებულო საგნები გაწერილი იყო, ხოლო არჩევითი საგნებთან დაკავშირებით პირველ სემესტრში სტუდენტს შეეთავაზებოდა არჩევითი საგნების ბლოკი, ხოლო მეორე სემესტრში როდესაც ჩამოყალიბებული იქნებოდა კვლევის ობიექტი სტუდენტს მიეცემოდა უფრო ფართო არჩევანის საშუალება. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ თუ საჭიროება მოითხოვდა ყველა დოქტორანტს ცალ-ცალკე ჩაუტარდებოდა საჭირო არჩევითი საგანი. გათვალისწინებული იყო რეკომენდაცია პროფესორის ასისტენტობის თაობაზე. რაც შეეხებოდა საგანს - “რელიგიური მოძრაობები” ექსპერტის განცხადებით თემატიკა საგანის არ მოიცავდა რელიგიურ მოძრაობებს. ის არ ეთანხმებოდა აღნიშნულ რეკომენდაციას, ვინაიდან მიაჩნდა, რომ ფემინიზმი გახლდათ ერთ-ერთი რელიგიური მიმდინარეობა. არსებობდა პროტესტანტული, ისლამური, კათოლიკური ფემინიზმი. ფემინიზმი გახლდათ სწორედ ის მოვლენა, სადაც 90% პროცენტი ატარებდა რელიგიურ ნიშნებს, მიმდინარებდა ბიბლიის ინტერპრეტირებული თარგმანები, სადაც ხდებოდა ქალის აღმატებულ ხარისხში აყვანა. რაც შეეხებოდა ემოს კულტურას, რომელიც გააზრებული იყო მხოლოდ მუსიკასთან და ჯაზთან მიმართებაში, გახლდათ სატანისტურ - რელიგიური მიმართულების პირდაპირი ნაწილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა პროგრამის შესაბამისობაში მოყვანას მისიასთან განაცხადა, რომ ნაწილობრივ ეთანხმებოდნენ ექსპერტთა მოსაზრებას, თუმცა უშუალოდ ქრისტიანობის იტორიის პროგრამის მიზანი შეესაბამებოდა მისიის მესამე პუნქტს. ვინაიდან უნივერსიტეტი ახორციელებდა რამოდენიმე პროგრამას, თითოეული პროგრამის მიზანი ვერ იქნებოდა გადატანილი უნივერსიტეტის მისიაში. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას პუბლიკაციებთან დაკავშირებით, დოქტორანტურის დებულებაში მოხდა დაზუსტება და მითითება, რომ სავალდებულო იყო სამეცნიერო-კვლევითი პუბლიკაციების გამოქვეყნება საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში და ჟურნალებში, რომლებიც შესული იყო სამეცნიერო ბაზებში. რაც შეეხებოდა ინტენაციონალიზაციის საკითხს, თანამშრომლობის მემორანდუმი იყო გაფორმებული ვარშავის, ჰაიდურის, ლიხტენშტეინის უნივერსიტეტებთან და მიმდინარეობდა მემორანდუმის გაფორმებაზე მუშაობა კონსტანციის და ბელგრადის უნივერსიტეტებთან. რაც შეეხებოდა სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობას,



პროგრამაში დასაქმებული იყო 9 პროფესორი, 7 გახლდათ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, 4 გახლდათ ისტორიის ხარისხის მქონე. თუ კი დადგებოდა საჭიროება საკვლევი თემიდან გამომდინარე მათ შეეძლოთ შეევსოთ კადრები.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა კვლევითი თემაზიკა შეეხებოდა თუ არა მხოლოდ საქართველოს ქრისტიანობის საკითხებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ქრისტიანობას გააჩნდა რამოდენიმე კონფესია, პროგრამას ერქვა ქრისტიანობის ისტორია და არა ეკლესიის ისტორია, კვლევის მირითადი ასპექტი გახლდათ ქრისტიანული მსოფლმხედველობის ანუ იდეის ისტორია.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ დოქტორანტებს კვლევისათვის დასჭირდებოდათ, როგორც ბაზები ასევე წყაროები, მას აინტერესებდა რა რესურსების შეთავაზება შეეძლო დაწესებულებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დოქტორანტს ექნებოდა წვდომა გამოუქვეყნებელ წყაროებზე იქნებოდა ეს ძველი თუ ახალი პერიოდის, ასევე მათ ჰქონდათ წვდომა ისეთ არქივებზე, რომელიც არ იყო ყველასათვის ხელმისაწვდომი. მათ სტუდენტებს ექნებოდათ საშუალება მემორანდუმის საფუძველზე ესარგებლათ კონსტანცის უნივერსიტეტის არქივებითაც.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ მისთვის ცოტა ბუნდოვანი იყო, თუ როდის ირჩევდა დოქტორანტი თემას. მისი შთაბეჭდილებით ეს ხდებოდა პირველი სემესტრის შემდგომ. შესაძლებელია დოქტორანტი დაინტერესებულიყო ისეთი თემით რომლის სპეციალისტიც მათ არ ეყოლებოდათ. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როდესაც დოქტორანტი შემოიტანდა საბუთებს, მას უკვე უნდა ჰქონოდა ჩამოყალიბებული იდეა თუ რა მიმართულებით უნდოდა მუშაობა და შერჩეული უნდა ჰყოლოდა სავარაუდო ხელმძღვანელი. აღნიშნული გახლდათ მიღებული პრაქტიკა ყველა უნივერსიტეტში.

18:00 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.  
სხდომა განახლდა 18:39 საათზე.


საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მსჯელობის დროს, საბჭომ ჩათვალა, რომ ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები იყო არსებითი ხასიათის და პროგრამის გაუმჯობესებისთვის, მათი გათვალისწინება უნდა მომხდარიყო. შესაბამისად, საბჭო მიიჩნევდა, რომ წარმოდგენილი პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებდა აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ პირველ და მეოთხე სტანდარტთან მიმართებით ექსპერტების შეფასება იყო - ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან. აქედან გამომდინარე, საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ კენჭისყრაზე დაეყენებინა პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლისა და 6 თვის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0




**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3<sup>2</sup> პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლისა და 6 თვის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუმარტა, რომ უნივერსიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციო შემდეგ გარემოებებს:

- დაიხვეწოს სასწავლო კურსები და შესაბამისობაში მოვიდეს მესამე საფეხურის დონესთან;
- გაუმჯობესდეს და სრულყოფილი იქნეს საბიბლიოთეკო რესურსი;
- გათვალისწინებული იქნას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.



3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის (ინგლისურენოვანი)	ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	
სწავლების ენა	ინგლისური	
კრედიტის რაოდენობა	240	

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ხომ არ სურდათ დამატებით ესაუბრა პროგრამასთან დაკავშირებით. ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. კერძოდ:

- რეკომენდირებული იყო ნათლად განსაზღვრულიყო პროგრამის მიზნები, ჩამოყალიბებულიყო ვალიდური, მარტივად გაზომვადი ინსტრუმენტები სწავლის მიზნების მიღწევის შესაფასებლად და ასევე ამოქმედებულიყო დასაქმების ბაზრის მოტხოვნებთან პროგრამის მიზნების შესაბამისობის დადგენის მექანიზმები;
- რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა განსაზღვრულიყო საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებულებათვის სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო დროის გაანალიზების საფუძველზე. ვალიდური ინსტრუმენტებით შეფასებულიყო სწავლის მეთოდების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან;
- მიზანშეწონილი იყო გადამუშავებულიყო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და სავალდებულო საბაზო საგნებში გათვალისწინებული ყოფილიყო ბიზნესის ფუნქციონალური სფეროები, რომლებიც უზრუნველყოფნების ზოგად დარგობრივ კომპეტენციებს უმაღლესი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების გათვალისწინებით, 120 კრედიტის ფარგლებში;
- სასწავლო კურსებს „მიკროეკონომიკა“ და „მაკროეკონომიკა“ უნდა შეცვლილიყო სახელწოდება, რადგან სილაბუსებში წარმოდგენილი თემატიკების და სავალდებულო ლიტერატურის მიხედვით ისინი განიხილებოდა როგორც „მიკროეკონომიკის პრონციპები“ და „მაკროეკონომიკის პრინციპები“;



- ბიზნესის ადმინისტრირების საბაზო სასწავლო კურსების ჩამონათვლიდან ამოღებული უნდა ყოფილიყო ტურიზმის საფუძვლები და დამატებოდა ხუთივე კონცენტრაციისათვის რელევანტური საბაზისო კურსი;
  - პროგრამის განვითარების კუთხით ორი საბაზისო სასწავლო კურსი დამატებოდა თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მიდგომების გამოყენების თაობაზე:
- პროგრამას უნდა დამატებოდა კურსი „ბიზნეს პრინციპების აღწერა“, რომელიც ითვალისწინებდა კომპანიის ბიზნეს პროცესებს ე.წ. „AS IS“ მოდელის შექმნას, არსებული პროცესების სუსტი მხარეების გამოვლენას, რეკომენდაციების ჩამოყალიბებას მათ გასაუმჯობესებლად და რეინჟინირინგის შედეგად ე.წ. „TO BE“ მოდელის შექმნას. რადგან დღესდღეისობით ძალიან ბევრი კომპანია მიმართავდა არსებული პროცესების აღწერას, ამიტომ კურსდამთვარებულებზე მოთხოვნა საკმაოდ გაიზრდებოდა და მათი ცოდნის ხარისხიც კიდევ უფრო მეტ შესაბამისობაში იქნებოდა ბაზრის მოთხოვნებთან. კომპანიაში არსებული პროცესების გაუმჯობესების საკითხში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ERP სისტემები, რომელიც მოიცავდა კომპანიის საქმიანობის ყველა სფეროს და აძლევდა მენეჯმენტს საშუალებას ემართათ კომპანია ახალ მმართველობით კონცეფციაზე გადასვლის საშუალებით. ამიტომ ასეთი სისტემების ცოდნა სტუდენტებისათვის სულ უფრო საჭირო გახდებოდა, თუმცა აღნიშნული უნდა მომხდარიყო სწავლების ბოლო საფეხურზე, როცა სუტენტი ფლობდა საკმაო ცოდნას;
- რეკომენდირებული იყო კორპორაციული კომუნიკაციის სახელწოდება შეცვლილიყო ბიზნეს კომუნიკაციად;
  - ორგანიზაციული ცვლილებები და განვითარების სილაბუსში ამოღებული უნდა ყოფილიყო თანამედროვე მენეჯმენტის საკითხები;
  - უნდა მომხდარიყო პირდაპირი მარკეტინგის კურსის თემატიკის გამიჯვნა გაყიდვების მართვის კურსისგან (შეცვლილიყო ძირითადი სახელმძღვანელო R. (2010) "The Power of Selling). დუბლირების თავიდან აცილების მიზნით მომხდარიყო კურსის სხვა მომიჯვნავე საგნებთან ინტეგრირება;
  - შეცვლილიყო ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი სოციალობის განმსაზღვრელ სასწავლო კურსების ჩამონათვალი და კრედიტების მოცულობა 2010 წლის 10 დეკემბრის 120/ნ ბრძანების შესაბამისად ძირითადი სპეციალობის არანაკლებ 120 კრედიტისა და დამატებითი სპეციალობის (სასურველი იყო 60 კრედიტი) კომბინირების სახით;
  - პრაქტიკული უნარ-ჩვევების უკეთ განვითარების მიზნით მომხდარიყო პრაქტიკული სამუშაოების/როლური თამაშების /სიმულაციების ინტეგრირება პრაქტიკული კურსების ფარგლებში;
  - გამოკითხული უნდა ყოფილიყო უფრო მეტი რაოდენობა დამსაქმებლებისა. აღნიშნული მისცემდა უნივერსიტეტის უფრო მკაფიო სურათს თუ რა მოთხოვნები არსებობდა მათი მხრიდან პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით;
  - საჭიროა მომხდარიყო დაინტერესებული მხარეების ინტერესებს/რცევების მაქსიმალურად გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში, რატა უზრუნველყოფილი ყოფილიყო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და პროგრამის მუდმივი გაუმჯობესება;
  - დამატებოდა ინგლისური ენის ცოდნის მინიმალური კომპეტენცია. პირველად ფილტრად გამოყენებული უნდა ყოფილიყო ერთიანი ეროვნული გამოცდების ინგლისური ენის შეფასება - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი  $65\%+1$  და დამატებით ჩატარებული უნდა ყოფილიყო საუნივერსიტეტო გამოცდა რომლის მინიმალური მოთხოვნა იქნებოდა - 82 დონე;
  - უნდა მომხდარიყო სწავლა-სწავლების მეთოდების ადაპტირება სასწავლო კურსების სპეციფიკის და პროგრამის შედეგების შესაბამისად;

- თითოეულ სავალდებულო და არჩევით კურსს საჭიროების შემთხვევაში განსაზღვროდა წინაპირობა და გადახედილიყო კურსების შეთავაზების თანმიმდევრობა ახალი მასალის უკეთ დაძლევის მიზნით;
- რამდენადაც პროგრამა მოიცავდა 5 კონცენტრაციას, პროგრამის ხელმძღვანელისათვის უნდა დაენიშნათ დარგობრივი კონსულტანტები კონცენტრაციის მიხედვით, რომლებიც განახორციელებდნენ კონცენტრაციების შიგნით სასწავლო კურსების წამყვანი ლექტორების თვალსაზრისების კოორდინაციას და პროგრამის ხელმძღვანელთან განსახორციელებელი ცვლილებების შეთანხმებას;
- პრაქტიკული კურსების სპეციფიკის შესაბამისად რეკომენდირებული იყო შეფასებების ჩანაცვლება პრაქტიკული დავალებების შესრულების, ქეისების განხილვაში მონაწილეობის, პროექტების, კვლევითი ანგარიშების წარმოდგენის, სამუშაო ჯგუფში ან როლურ თამაშებში მონაწილეობის საფუძველზე, რომლისთვისაც განსაზღვრული იქნებოდა მრავალფეროვანი და რელევანტური შეფასების კრიტიკიუმები;
- რეკომენდირებული იყო პრაქტიკის კომპონენტის გადატანა არჩევითი კომპონენტიდან სავალდებულოში, რაც პრაქტიკული უნარის განვითარების შანსს გაუზრდიდა სტუდენტებს. მიზანშეწონილი იყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უზრუნველეყო დარგობრივი აკადემიური აფილირებული პერსონალის მოზიდვა ფაკულტეტზე;
- განახლებას მოითხოვდა ლიტერატურა ზოგიერთ სილაბულში (მაგ: Public Finance-Gruber (2011); Introduction of Insurance, George E.Rejda (2012); Introduction to Banking (2006); Financial Mathematics, John C Hull (2002); Hotel Management, walker (2008)).

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა მიმართა ექსპერტებს და განაცხადა, რომ დასკვნაში წარმოდგენილი იყო არსებითი ხასიათის რეკომენდაციები, ხოლო შეფასებები იყო საკმაოდ მსუბუქი, ორ სტანდარტში გახლდათ სრული შესაბამისობა, ხოლო დანარჩენში - მეტწილი შესაბამისობა. ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაციების დიდი ნაწილი ეხებოდა პირველ და მეორე სტანდარტს და მათი საბოლოო შეფასება არ გახლდათ სრული შესაბამისობა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არ ეთანხმებოდნენ მიზნათან დაკავშირებულ რეკომენდაციას, ვინაიდან მათი მოსაზრებით მიზანი ჩამოყალიბებული იყო მკაფიოდ და ლაკონურად რაც მარტივად აღსაქმელი იყო სტუდენტისათვის. რაც შეეხებოდა მეორე რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა სასწავლო კრედიტების მოცულობის განსაზღვრას საშუალო მოსწრების სტუდენტებისათვის, უნივერსიტეტი ზუსტად მოქმედებდა აღნიშნული პრინციპით და მათთვის გაუგებარი იყო რატომ გაუჩნდათ ექსპერტებს აღნისნული რეკომენდაციის გაცემის მოტივაცია. პროგრამაში გახლდათ სხვადასხვა კრედიტების მოცულობის საგნები, ძირითადად 5-6 კრედიტით. ის, რომ პროგრამა არსებული სტრუქტურით გახლდათ წარმატებული მეტყველებდა იმაზე, რომ საშუალო სტუდენტისთვისაც იყო დაძლევადი. რა თქმა უნდა პროგრამაში იყო ჩადებული გარკვეული მძიმე საკითხებიც, რომლის ათვისება არ ხდებოდა თანაბარწილად სტუდენტების მიერ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ინტერვიურების დროს აღნიშნული მოცულობის საგნებთან დაკავშირებით მათ კითხვა დაუსვეს სტუდენტებს, თუ რა დროს უთმობდნენ მაგალითისათვის 6 კრედიტიან საგანს და მათი პასუხებიდან გამომდინარე გამოიკვეთა ის გარემოება, რომ ერთი და იგივე საგანს ვერ უთმობდნენ თანაბარ დროს.



დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ 120 კრედიტში პროფილურ საგნებად ჩაითვლებოდა მხოლოდ ბიზნესის ადმინისტრირების ზოგადი საგნები, თუმცა მათ ჰქონდათ კონცენტრაციები და კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით აღნიშნული კონცენტრაციებიც იგულისხმებოდა ბიზნესის ადმინისტრირებაში, შესაბამისად, თუ დაითვლიდნენ ჯამურად გამოდიოდა 150 კრედიტი, შესაბამისად ისინი არ ეთანხმებოდნენ მოსაზრებას, რომ პროგრამაში არსებული კონცენტრაციები არ იყო დარგობრივი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ საუბარი აღნიშნულ შემთხვევაში არ იყო ბიზნესის საგნებზე, საკითხი ეხებოდა იმ ძირითად ფუნქციონალურ საგნებს, რომელიც ანიჭებდა ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციას არ იყო სრულად შესწავლილი. ნებისმიერ კონცენტრაციაზე შესაძლებელი იყო თქმულიყო რომ შედგებოდა ბიზნესის ადმინისტრირების საგნებისაგან, თუმცა პროგრამა რჩებოდა მნიშვნელოვანი საგნების გარეშე.

დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა და განაცხადა, რომ 150 კრედიტი მოიცავდა, როგორც ძირითად სპეციალობის საგნებს, ასევე კონცენტრაციას, შეუძლებელი იყო 150 კრედიტის ფარგლებში ათვისებული ყოფილიყო სხვა საგნები. სხვა საგნებისათვის უნივერსიტეტში არსებობდა თავისუფალი კრედიტები, სადაც სტუდენტს საშუალება ჰქონდა აეთვისებინა სხვა საგნებიც. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა ორი საგნის დამატებას ბიზნეს პროცესების აღწერის კუთხით, თუ დადგებოდა აუცილებლობა გაითვალისწინებდნენ. მათ ჰქონდათ პროგრამა, რომელიც ძირითადად გამოიყენებოდა მაგისტრატურის საფეხურზე ვინაიდან საშუალო სტუდენტისათვის რთული დასამლევი იქნებოდა. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა პრაქტიკული უნარების განვითარებას, აღინიშნა, რომ იზიარებდნენ რეკომენდაციას და პროგრამაში გაითვალისწინებდნენ პრაქტიკის გაძლიერებას.

დამსაქმებლების ჩართულობასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ყველა ექსპერტი მიუთითებდა ამ გარემოებაზე, თუმცა მათთვის გაუგებარი იყო ვინაიდან წლების მანძილზე ხორციელდებოდა დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა, რაც დასტურდებოდა გაფორმებული მემორანდუმებითაც. მათთვის გაუგებარი იყო მითითება უფრო მეტ რაოდენობაზე, სასურველი იყო ექსპერტებს დაეკონკრეტებინათ, თუ რა რაოდენობა ჩაითვლებოდა საკმარისად.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ დამსაქმებლებთან ურთიერთობა დაფუძნებული იყო ორ ძირითადად ელემენტზე. პირველი გახლდათ უკუკავშირი თუ რა ჭირდებოდა ბაზარს, ხოლო მეორე პოტენციური დასაქმება. აღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც დგებოდა საკითხი დამსაქმებლების რაოდენობაზე მთავარ მიზანს წარმოადგენდა სტუდენტების რეალური დასაქმება, რამდენი სტუდენტი დასაქმდებოდა წელიწადში. რიცხვი უნდა განსაზღვრულიყო დამსაქმებლების საჭიროებიდან გამომდინარე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰყავდათ რამოდენიმე დამსაქმებელი მაგალითად: კომპანია „ჯიარსი“, „ფერმერთა ასოციაცია“ და სხვ. რომელთაც ტრადიციულად მიჰყავდათ მათი კურსდამთავრებულები. ასევე დამსაქმებლების ნაწილი კითხულობდნენ ლექციებსაც აღნიშნულ პროგრამაში.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ არ შეიძლებოდა ერთ სემესტრში შესწავლილი ყოფილიყო საფინანსო აღრიცხვა და მენეჯერული აღრიცხვა. შესაძლებელი იყო სტუდენტს ვერ



აეთვისებინა თემები. მენეჯერული აღრიცხვა მოითხოვდა წინაპირობებს, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი ვერ გაიგებდა საგანს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდნენ მოსაზრებას. მენეჯერული აღრიცხვის შესწავლამდე სტუდენტი სწავლობდა საბუღალტრო აღრიცხვას. თუ აღნიშნული გამოიწვევდა პრობლემებს, იზრუნებდნენ შეცვლაზე. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას ინგლისურ ენასთან დაკავშირებით, ბაკალავრიატში ეროვნულ გამოცდაზე ბარდებოდა ინგლისური ენა B1 დონეზე, შესაბამისად უნივერსიტეტი დამატებით ვერ მოთხოვდა სტუდენტს შიდა გამოცდის ჩაბარებას B2 დონეზე. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას სტატისტიკის კურსთან დაკავშირებით, ის წარმოდგენილი იყო ორ ნაწილად და მიაჩნდათ, რომ არ საჭიროებდა წინაპირობად მათემატიკა 2 -ის სწავლებას, ვინაიდან სკოლის დონის მათემატიკაც საკმარისი იქნებოდა. რაც შეეხებოდა აფილირებულ პროფესორებს, ჰყავდათ 12 აფილირებული პროფესორი და გამოცხადებული ჰქონდათ აკადემიური კონკურსი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამაში თუ ჰყავდათ ჩართული უცხოელი პროფესორები. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჰყავდათ ორი უცხოელი პროფესორი, ხოლო ქართველების ინგლისური ენის კომპეტენცია გახლდათ დამაკმაყოფილებელი.

საბჭოს წევრი, ოლია ვოტი დაინტერესდა ისწავლებოდა თუ არა რომელიმე კურსში ბიზნეს-მოლაპარაკების თეორიები. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში ისწავლებოდა აღნიშნული საკითხი, მათ შორის ბიზნეს კომუნიკაცია.

19:15 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.  
სხდომა განახლდა 19:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნის თანახმად, პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები ფასდებოდა, როგორც მეტწილად შესაბამისი. აქედან გამომდინარე, საბჭო იზიარებდა ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს და მიიჩნევდა, რომ დაწესებულებას აკერდიტაციის დებულების თანახმად, 1 წელიწადში საბჭოსთვის უნდა წარედგინა რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.


კენჭისყრის შედეგები:  
მომხრე - 9  
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“



ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლიურენოვნი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.  
საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 1 წელი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოასადგენად.



4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი)
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ხომ არ სურდათ დამატებით ესაუბრა პროგრამასთან დაკავშირებით. ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით. კერძოდ:

- რეკომენდირებული იყო გადახედილიყო პროგრამის დიზაინი, მიზნები და მკვეთრად განსაზღვრულიყო მათი შესაბამისობა დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან. შემუშავებულიყო ვალიდური ინსტრუმენტები პროგრამის მიზნების მიღწევადობის შესაფასებლად;
- სასწავლო კურსის შინაარსისა და დატვირთვის საფუძველზე განსაზღვრულიყო კრედიტების მოცულობა და სწავლის მეთოდები;
- ხელახლა გაანალიზებულიყო პროგრამის დიზაინი და დამატებულ ყოფილიყო ისეთი ფუნდამენტური საგნები როგორიც იყო სტრატეგიული მარკეტინგის მენეჯმენტი, ოპერაციული მენეჯმენტი, სტრატეგიული ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, რათა კურსდამთავრებულების ჰქონდათ ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციისათვის სათანადო დარგობრივი კომპეტენციები;
- მომხდარიყო დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გაზრდა და მიღებული გადაწყვეტილებების დოკუმენტირება;
- აუცილებელი იყო გამოკითხული ყოფილიყო უფრო მეტი რაოდენობა დამსაქმებლებისა, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტებისა სრულყოფილი ანალიზის ჩასატარებლად;
- უფრო აქტიურად მომხდარიყო პრაქტიკული სამუშაოების ინტეგრირება სასწავლო პროგრამების ფარგლებში;
- ადაპტირება მომხდარიყო სწავლა-სწავლების მეთოდების სასწავლო კურსების სპეციფიკის და სასწავლო საფეხურების შესაბამისად;



- პრაქტიკულ კურსებში (პროექტების მართვა, რაოდენობრივი ანალიზი ბიზნესისათვის, სამუშაოს შეფასება და პერსონალის წახალისება, ბიზნესის კვლევის მეთოდები) შეფასების მეთოდები უნდა დაფუძნებოდა როლურ თამაშებში/სიმულაციებში ჩართულობას, პრაქტიკული დავალებების შესრულებას, სამუშაო ჯგუფებში მუშაობასა და პრეზენტაციებს;
- დაინტერესებული მხარეებს ინტერესების/რჩევების მაქსიმალურად გათვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში, რათა უზრუნველყოფილ ყოფილიყო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და პროგრამის მუდმივი გაუმჯობესება.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მენეჯმენტის საგნებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე აღნიშნა, რომ ექსპერტთა მოსაზრება მართლაც გასათვალისწინებელი იყო, ადამიანური რესურსების მართვა ნამდვილად საინტერესო საგანი გახლდათ. მათ პროგრამაზე ჰყავდათ 13 სტუდენტი რომელთაგან 8 იყო მათი ბაკალავრიატის საფეხურის კურსდამთვარებული და შესაბამისად ადამიანური რესურსების მართვის საგანი გავლილი ჰქონდათ, მიუხედავად ამისა ესაუბრნენ ლექტორებს და გათვალისწინებდნენ სტარტეგიული კურსის მიმართულებასაც არსებული კურსის ფარგლებში. რაც შეეხებოდა სტრატეგიული მარკეტინგის მენეჯმენტის საგანს, მათ ჰქონდათ მარკეტინგის პროგრამა სადაც მსგავსი საგანი იყო ჩადებული და სტუდენტებს ჰქონდათ მისი არჩევის საშუალება.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და განაცხადა, რომ მისი შთაბეჭდილებით, ცოდნის გადაცემის თვალსაზრისით კარგავდნენ ბევრ შესაძლებლობას, მათ ჰქონდათ კურსების მისაწოდებელი ცოდნის გამრავალფეროვნების რეზირვი. როდესაც 100-დან 99 პროფესორი თავს ართმევდა 5 ან 6 კრედიტში საგნის ახსნას, უჭირდა იმის გაგება რომ 10 კრედიტიანი საგანი იყო აუცილებელი. საგნების ძირითადი ნაწილი მოიცავდა ფინანსური მენეჯმენტის საკითხებს. შესაბამისად, მისი მოსაზრებით, პროგრამის სტრუქტურა არსებით ცვლილებას საჭიროებდა.

20:10 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.  
სხდომა განახლდა 20:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მსჯელობის დროს, საბჭომ ჩათვალა, რომ ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები იყო არსებითი ხასიათის და პროგრამის გაუმჯობესებისთვის, მათი გათვალისწინება უნდა მომზღვდა იყო. შესაბამისად, საბჭო მიიჩნევდა, რომ წარმოდგენილი პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებდა აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ პირველ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტების შეფასება იყო - ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან. აქედან გამომდინარე, საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ კენჭისყრაზე დაეყენებინა პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა თეო ურუშაძემ, ვინაიდან, მისი მოსაზრებით, პროგრამას 7 წლის ვადით უნდა მინიჭებოდა აკრედიტაცია მონიტორინგის დათვების პირობით.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3<sup>2</sup> პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

20:40 საათზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ სხდომა დაწურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე  
ირაკლი ბურდული

მდივანი  
დიმიტრი ჯაფარიძე